№71 2016 წლის 21 მარტი ქ. თბილისი

დ. ჯავახაძისათვის, მ. ახალაძისათვის და თ. იოსელიანისთვის „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის შავ ზღვაზე საზღვაო საძიებო და სამაშველო ოპერაციებში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს **დავით ჯავახაძეს**, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორს **მამუკა ახალაძეს და** საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილეს **თამარ იოსელიანს** მიენიჭოთ „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის შავ ზღვაზე საზღვაო საძიებო და სამაშველო ოპერაციებში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილება.

გიორგი კვირიკაშვილი